ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7175576

ნომერი: AR11052378

თარიღი : 08.08.2024

გაცემის თარიღი : 12.08.2024

გაცნობის თარიღი : 13.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა, N 63;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ გოგეშვილი პ/ნ 01011076175
- ნუცუბიძის 217

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6998204 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 08 აგვისტოს №AR11052378 განცხადებით მომართა ნიკოლოზ გოგეშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 24

აპრილის №6998204 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6998204 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.24.007.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 07 მაისიდან 2024 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6998204 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ბრძანებაში მშენებლობის ეტაპები არ ფიქსირდება შეთანხმებული კალენდარული გრაფიკის შესაბამისად და ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6998204 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტში ტექნიკური შეცდომის შედეგად არასრულად დაფიქსირდა 2023 წლის 24 ოქტომბრის №AR1996887 განცხადებაზე წარმოდგენილი, სამსახურის მიერ შეთანხმებული კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6998204 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6998204 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს დარჩენილი სამუშაოების შესაბამისად, შემდეგნაირად: 3) შენობის შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები, 4) კარ-ფანჯრის მოწყობა, 5) ტერიტორიის კეთილმოწყობა, 6) სამშენებლო ნაგვის გატანა, 7) მიშენების გადახურვის მოწყობა, მიშენების მოპირკეთება, მოწესრიგება, 8) შენობის საინჟინრო ქსელების მოწყობა.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6998204 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6998204 ბრძანებასთან ერთად
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.